პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის

განხორციელების ვადა: 28.08.2019 - 27.08.2023

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 3 711 970

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
GOPA Worldwide Consultants GMBH

პროექტის ვებსაიტები: gopa.de/en

პროექტის აღწერა:

პროექტი „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის“ წარმოადგენს ევროკავშირის Skills4Jobs პროგრამის მეორე ფაზის ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტს. პროექტის მიზანია დაეხმაროს საქართველოს მთავრობას გააუმჯობესოს საქართველოს შერჩეულ რეგიონებში ქალებისა და კაცების დასაქმების შესაძლებლობები. ამ შედეგის მისაღწევად, პროექტი მხარს უჭერს სამინისტროებს და მათ სააგენტოებს, ასევე ადგილობრივ თემებს განავითარონ, განახორციელონ, მონიტონგი გაუწიონ და გააუმჯობესონ შესაბამისი პოლიტიკა, შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული უნარების განსავითარებლად.

მოსალოდნელი შედეგები:

- დარგის ეროვნული რეფორმის პოლიტიკა დამტკიცებული და განხორციელებულია; მიზნობრივი სამინისტროების შესაძლებლობები დარგის რეფორმის პოლიტიკის მიმართულებით გაძლიერებულია, რათა მათ შეძლონ ახალი რეფორმების განვითარება, განხორციელება და მონიტორინგი; დარგის რეფორმის პოლიტიკისა და სერვისების შესახებ ინფორმაცია და ცნობადობა გაზრდილია;
- უნარების განვითარება და მეწარმეობის განათლების პოლიტიკა შედგენილია და განხორციელებულია და სწავლებაში ჩართულთა რაოდენობა გაზრდილია. განათლების სამინისტროს შესაძლებლობები გაუმჯობესებულია სისტემების და პოლიტიკის გატარების კუთხით, რათა პროფესიული ორიენტაციისა და მეწარმეობის სწავლება განათლების სრულ სეგმენტზე გავრცელდეს;
- ახალგაზრდების სერვისები, მათ შორის კარიერის დაგეგმვა, არა-ფორმალური ტრეინინგ კურსები და ახალგაზრდების გააქტიურების სხვა გზები ჩამოყალიბებულია და ახლად შექმნილი სააგენტოს, „ახალგაზრდობის სააგენტოს“ ორგანიზაციული და ადამიანური შესაძლებლობები გაზრდილია;
- განახლებული ახალი მომსახურების მოდელი შემუშავებულია და ახლად შექმნილი „დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს“ შესაძლებლობები გაძლიერებულია, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე, რათა მათ შეძლონ ეფექტური მომსახურების გაწევა სამსახურის მაძიებელთათვის და დამსაქმებლებისთვის.
- შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა და მონაცემთა ანალიზის უნარები გაუმჯობესებულია, რათა მოხდეს მტკიცებულებებზე-დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება და გატარება.